

SEESTADT BREMERHAVEN

ქართულად ნათარგმნი დოკუმენტი

ინფორმაცია ბრემენის მიწაზე სავალდებულო სასკოლო განათლების შესახებ

ძვირფასო მშობლებო, ძვირფასო მეურვეებო,

ყველა ბავშვი, რომელიც დადის სკოლაში ბრემერჰაფენში, ექვემდებარება სავალდებულო სწავლას ბრემენის სკოლების კანონის 55-ე მუხლის მიხედვით.

არდადეგების ადრეული დაწყების ან მისი გაგრძელების ნებართვა როგორც წესი არ გაიცემა. ეს წესი ვრცელდება 2025/26 ყველა სასკოლო არდადეგებზე. ის ასევე ეხება 2025 წლის ზაფხულის არდადეგებს.

გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ: სასკოლო დღეებში ავადმყოფობის გამო გაცდენა უშუალოდ სკოლის არდადეგებთან დაკავშირებით ყოველთვის უნდა იყოს გამართლებული სამედიცინო ცნობით. ეს ეხება პირველივე სასკოლო დღიდან სკოლის არდადეგებამდე ან მის შემდეგ. ამ პერიოდის განმავლობაში მშობლის ან მეურვის ხელნაწერი ბოდიში არ მიიღება. ასეთ შემთხვევაში უნდა დაადასტუროთ რომ ეს არ ყოფილა არდადეგების გახანგრძლივება.

თუ თქვენი შვილები სკოლას ნებართვის გარეშე აცდენენ, ეს არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ბრემენის სკოლების კანონის 65-ე მუხლის მიხედვით.

ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ისჯება ჯარიმით. ჯარიმა დგინდება გარემოებების მიხედვით და ფასდება გაცდენების მოცულობის მიხედვით. მისი ოდენობაა სულ მცირე 255.00 ევრო.

გთხოვთ მის გათვალისწინებასა და მხედველობაში მიიღებას.

ბრემერჰაფენის სკოლის ადმინისტრაცია, 05/06/2025